# ლელო

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

11 ივნისი, შაბათი, 1991 წ.
№ 107 (10520) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ჭიდაობა ჩვენი, ქართული!

# ხალხი უვლის და ელოლიავება ეროვნულ საუნჯეს

### ჩვენს აფორიაქებულ დროში შეიძლება თუ არა სპორტული ასპარეზობა დღესასწაულად იქცეს? შეიძლება! ეს საქმით დაადასტურეს კასპელებმა

**ამდენ** მაყურებელს დღეს ჩვენი ნებისმიერი სტადიონი და საფეხბურთო მატჩი ინატრებდა. ფეხბურთი შედარებისთვის მხოლოდ იმიტომ არ მოვიტანეთ, რომ იგი ყველაზე პოპულარულ სპორტის სახეობად ითვლება ჩვენში, არამედ იმიტომაც, რომ რაკი ვერავითარი დარბაზი ამდენ გულშემატკივარს ვერ აუვიდოდა, შეჯიბრება სწორედ საფეხბურთო სტადიონზე ჩატარდა. მაგრამ, სტადიონმაც კი, რომლის ტრიბუნები ხალხით გადაჭედილი დიდი ხანია, არავის უნახავს, ვერ დაიტია ყველა მსურველი და მაყურებელი პირდაპირ საფეხბურთო მინდორზე, არენის ირგვლივ მოკალათდა.

მართლაც რომ, ჭეშმარიტ დღესასწაულად იქცა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისადმი მიძღვნილი ღია რესპუბლიკური შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში, რომელიც ამ დღეებში პირველად ჩატარდა კასპში. ხელშემწყობთა მკითხველის წინაშე წარდგენა გვსურდა, მაგრამ ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ვიტყვით, მხოლოდ მთავარს — რაიონის პრეფექტიდან რიგით კასპელამდე, ყველა მზად იყო ხელი გაემართა ორგანიზატორებისთვის. სპორტკომიტეტთან ერთად კი სპორტული კლუბი „ფალავანი" თავკაცობდა საქმეს. „ფალავანი" მართლაც დიდი ძალაა, კლუბმა თავი მოუყარა კასპელ ვეტერან მოჭიდავეებს, ქართული ჭიდაობის მოყვარულებს და საერთო ინტერესები ერთიანი და სასარგებლო გზით წარმართა.

არ არსებობს პრობლემა, რომელიც ასეთი ერთიანობით და თანადგომით გადაუჭრელი დარჩეს. თამამად შეიძლება ითქვას: კასპელები უვლიან და ელოლიავებიან ჩვენს ეროვნულ საუნჯეს — ქართულ ჭიდაობას.

გამარჯვებულები: მარცხნიდან — გ. გორგაძე, ი. იაშვილი, ზ. გულიაშვილი, ბ. ერაშვილი, მ. მაზმიშვილი, ი. გამხიტაშვილი, ა. ჯალაბაძე.

...ყველაფერთან ერთად, მაინც რამ აამაღლა ინტერესი კასპში ამ შეჯიბრებისადმი, თუმცა იგი პირველად ჩატარდა?

ვთქვათ პირდაპირ და, ამის თქმას ნურასოდეს მოვერიდებით. — მატერიალურმა სტიმულმა.

სპორტის სახეობის პოპულარობა, პლუს ფულადი ჯილდო — ამ პრინციპით ცხოვრობს დღეს პროგრესული მსოფლიო სპორტი.

ეს პრინციპი ყველგან პოპულარობას მატებს და საამაყოს ხდის ხალხისათვის სპორტის საყვარელ სახეობას.

500, 400 და 200 მანეთი — ასეთი იყო ფულადი ჯილდო გამარჯვებულთათვის და პრიზიორთათვის იმ ტრადიციულ პრიზებთან ერთად, რომლებსაც ადრე აძლევდნენ სპორტსმენებს.

განსაკუთრებით გვენიშნა მსაჯთა ობიექტურობა, შესაშური წესრიგი, მაყურებელთა თავდაჭერა.

ქართული ჭიდაობა რაინდთა სპორტია. კასპელმა გულშემატკივრებმა ეს კარგად იციან, აფასებენ კიდეც.

უპრიზოდ და ფულადი ჯილდოს გარეშე არ დარჩენილა შეჯიბრების მონაწილე თითქმის არც ერთი გუნდი.

**გავეცნოთ რჩეულებს: 60 კგ:** 1. გიორგი გიორგაძე, 2. გიორგი პაპინაშვილი, 3. რამაზ რევაზიშვილი (სამივე — კასპი); **65:** 1. იოსებ იაშვილი (კასპი), 2. ბადრი ბასილაშვილი (საგარეჯო), 3. მამუკა კელაპტრიშვილი (კასპი); **78:** 1. ზაზა გულიაშვილი (ქარელი), 2. მამუკა ჯანანაშვილი, 3. რამაზ გოგიაშვილი (ორივე — კასპი); **78:** 1. ბესიკ ერაშვილი, 2. ჯონი სუხაშვილი, 3. ჯემალ გუდიაშვილი (სამივე — კასპი); **84:** 1. მამუკა მაზმიშვილი, 2. მერაბ მამულაშვილი (ორივე — გორი), 3. კობა ყალიბეგაშვილი (კასპი); **90:** 1. ივანე გამხიტაშვილი (კასპი), 2. ნუკრი ჯალაბაძე (გორი), 3. შოთა ყვავილაშვილი (რუსთავი); **+90:** 1. არმაზ ჯალაბაძე, 2. იგორ ჯალაბაძე (ორივე — გორი), 3. ჯაბა ქამხაძე (კასპი).

ფრთხილად, მტერს ნუ გავაცინებთ!

# დანაშაულის დაფარვა კი შანტაჟის მუქარით სურთ

**ფოთი** ახლა ჩვენი სპორტული და არამარტო სპორტული საზოგადოების ყურადღებას იქცევს. როგორც ცნობილია, აქ ორი თვის შემდეგ უნდა ჩატარდეს ევროპის ჩემპიონატი წყალსათხილამურო სპორტში. ეს ასპარეზობა სცილდება წმინდა სპორტულ ღონისძიებათა ფარგლებს. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საბჭოთა და საზღვარგარეთულ პრესაში („ცენტრის" მეშვეობით) ვრცელდება ბევრი ჭორი. ამიტომაც ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც უნდა გამოვიდნენ 18 ქვეყნის სპორტსმენები, გვესტუმრონ მრავალრიცხოვანი ჟურნალისტები და ტურისტები, საუკეთესო საშუალებაა ამ ჭორების გასაქარწყლებლად. მაგრამ ჩვენი ფოთში მივლინების მიზეზი გახლდათ არა ამ შეჯიბრებისთვის მზადების საკითხი (თუმცა ამის შესახებაც მოგითხრობთ უახლოეს ნომერში), არამედ ფრიად სამწუხარო მოვლენა: რედაქციაში შევიტყვეთ, რომ წყალსათხილამურო ბაზაზე სცემეს საქართველოს ნაკრების წევრებს. გავრცელდა ხმები, გაჩნდა მრავალი ვერსია, ერთი მეორეზე უარესი. სიმართლის დასადგენად ვეწვიეთ ფოთს.

თავიდანვე უნდა გითხრათ, რომ სპორტსმენთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება. უფრო მეტიც, ისინი უკვე შეუდგნენ ვარჯიშს და ინტენსიურად ემზადებიან ევროპის ჩემპიონატისთვის. თუმცა, ამ მეტად სამწუხარო ინციდენტის გამო ვარჯიშის შეწყვეტა მოუხდათ და ვერც მინსკში გაემგზავრნენ ტურნირზე. ახლა კი მომხდარის თაობაზე.

...29 მაისს, დღისით, წყალსათხილამურო ბაზის მიმდებარე პარკში რამდენიმე ახალგაზრდა ქეიფობდა. გასაკვირი არაფერია, ვის არ უყვარს მხიარული დროსტარება? მაგრამ ყველაფერი არცთუ მხიარულად დამთავრდა. ამ დროს წყალმოთხილამურეები სადილის შემდეგ ბრუნდებოდნენ ბაზაზე დასასვენებლად. მათ მოქმედებაში რაღაც „არ მოეწონა" ნასვამ დუეტს. მათ ჯერ ბაზაზე ჩაამტვრიეს მინები, შემდეგ გამეტებით სცემეს მწვრთნელს რომან ჩაჩიბაიას, არ დაინდეს აგრეთვე საქართველოს ნაკრების წევრები: ვასილი ბუდუროვი და გენადი გურალია. ბოლოს ხულიგნებმა გაიტაცეს ვიღაცის კუთვნილი მანქანა და მიიმალნენ. მაგრამ მილიციამ მალე დააკავა ისინი. ქალაქის პროკურატურაში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე ნომერი 45991069, 228 მუხლი მე-2 ნაწილით (ხულიგნობა) და 243 მუხლის მეორე ნაწილით (ავტომანქანის გატაცება). საქმეს იძიებს ფოთის მილიცია (გამომძიებელი დემურ ლაგვილავა).

როგორც ითქვა, სპორტსმენები უკვე შეუდგნენ ვარჯიშს, ჩვენც ყველაზე მეტად სწორედ მათი ჯანმრთელობის ამბავი გვაინტერესებდა. გამოძიების საქმეში ჩარევა ჩვენ არ გვესება და ამიტომ ჯერ არ ვასახელებთ ბრალდებულთა ვინაობას, მაგრამ ცნობილი გახდა ერთი გარემოება: ერთ-ერთი ბრალდებულის მამა თანამდებობის პირია და მისი ნათესავები ცდილობენ ზეგავლენა მოახდინონ გამოძიებაზე. მუქარაში გამოკრთა ასეთი ფრაზაც: „თუ ჩვენს შვილებს არ გაანთავისუფლებთ, ჩავშლით ევროპის ჩემპიონატს!". ხედავთ, სადამდე შეიძლება მივიდეს უგუნურობა? ევროპის ჩემპიონატი ფოთში, კიდევ ვიმეორებ, ეროვნული საქმეა და როგორც ჩავატარებთ, კარგად თუ ცუდად, ისე იმოქმედებს საქართველოს პრესტიჟზე მთელს მსოფლიოში. ეს კარგად იციან ფოთის პრეფექტურაში თუ მილიციაში, კარგად უწყის იგი ყველა ფოთელმა. დავწერეთ სიტყვა „ყველა" და მივხვდით რომ იგი უადგილოა. თურმე ყველას როდი ესმის ეს?! ფრთხილად, მტერს ნუ გავაცინებთ!

**ზურაბ ტაბატაძე**

# მართალი ის არის, ვინც მართალია, მაგრამ ვინ გაარჩევს ვინაა მართალი და ვინ მტყუანი?

რაც უფრო ახლოვდება ფეხბურთში ეროვნული ჩემპიონატის ფინალი, მით უფრო იძაბება ცალკეული მატჩები, განსაკუთრებით კი ის შეხვედრები, სადაც აუტსაიდერები ლიგაში დარჩენისათვის იბრძვიან. უამრავი კითხვის ნიშანი ჩნდება ყოველი ასეთი მატჩის შემდეგ. ცუდ დღეში ვართ ჩვენც, „ლელოს" მუშაკები, სადაც სამართლის საძიებლად გვაკითხავენ „დაჩაგრული" მხარის წარმომადგენლები. ბრალდების დამტკიცებას ვერავინ ახერხებს, არადა, როგორი საქმეა ქვეყანას მოსდო ასე და ასე მოექცნენ ამა და ამ გუნდსო. მეორე მხარე ე. ი. ის, ვინც სხვა „დაჩაგრა", მოგვთხოვს თუ არა ბრალდების დამტკიცებას? რა თქმა უნდა, მოგვთხოვს. აი, ასეთ დღეში ვართ, ცხადია, უნდა მოვუსმინოთ „ბრალდებულსაც". მაგრამ რით მთავრდება ყოველივე ეს? დღეს ერთ კონკრეტულ მაგალითს შემოგთავაზებთ.

იხ. მე-8 გვ.



# რა ისმის უცხოეთიდან?

## ჯორდანი სასწაულებს ახდენს

**ინგლვუდი.** ნბა-ს (კალათბურთის ეროვნული ასოციაცია) ჩემპიონატის ფინალური სერია კრიტიკულ და, თუ შეიძლება ითქვას, დრამატულ ელფერს იძენს. არადა, ათიოდე დღის წინ დასავლეთის კონფერენციის საუკეთესო კლუბის „ლოს-ანჯელეს ლეიკერსის" მდგომარეობა ერთობ ხელსაყრელი ჩანდა. მართლაც, „მეჯიკ" ჯონსონის გუნდმა მეტად საჭირო ფინალური ქულა მოიპოვა ჩიკაგოში ადგილობრივ „ბულზთან" და მაიკლ ჯორდანის „რაზმი" გარკვეული პრობლემის წინაშე დააყენა (საერთოდ, პროფესიონალებთან მეტოქის მოედანზე მოპოვებული გამარჯვება ისეთი უპირატესობაა, რომელსაც უსათუოდ სასურველი შედეგი უნდა მოჰყვეს). მაგრამ მოგვიანებით სასწაული მოხდა:

მეტოქეებმა გადაინაცვლეს ლოს-ანჯელესში სამი მატჩის ჩასატარებლად და „ლეიკერსს", ბუნებრივია, გაუჩნდა დაწინაურების შანსები. მაგრამ ნურას უკაცრავად: „ჩიკაგომ" თავისი ენერგიული მწვრთნელის ფილ ჯექსონისა და შეუდარებელი ლიდერის მაიკლ ჯორდანის ხელმძღვანელობით ორი სასწაული მოახდინა და „ჩიკაგო" დაწინაურდა 3:1. ნბა-ს ჩემპიონატის 44-წლიან ისტორიას არ ახსოვს შემთხვევა, გუნდი ასეთი კრიტიკული სიტუაციიდან „გამომძვრალიყო". 2-ქულიანი დეფიციტის ლიკვიდაცია, როცა „ჩიკაგო" ბოლო ორ მატჩს შინ ატარებს, ფაქტობრივად, შეუძლებელია.

მეოთხე შეხვედრის (იგი მოიგო „ჩიკაგომ" —97:82) საუკეთესო მოთამაშე ისევ მაიკლ ჯორდანი იყო, რომელიც სანახევროდ ტრავმირებული თამაშობდა. „ჩიკაგოს" ლიდერმა თავის გუნდს 28 ქულა შესძინა.

**ფილ ჯექსონი** („ჩიკაგოს" მწვრთნელი): „ამ წარმატებას ჩვენმა ბიჭებმა, უმთავრესად, დაცვაში შეუცდომელი თამაშის წყალობით მიაღწიეს. ახლა, როცა ჯორდანი ტრავმის გამო მთელი ძალით ვერ თამაშობს, ჩვენთვის მთავარია გვყავდეს მობილური დაცვა".

**მაიკ დანლივი** („ლეიკერსის" მწვრთნელი): „არ მახსოვს ასეთი სუსტი მაჩვენებელი სროლებში ჩვენებს როდის ჰქონდათ. 37 პროცენტით ჩემპიონობაზე ფიქრი, ცხადია, თავხედობაა. მაგრამ იმედი მაქვს, ეს კოშმარი აღარ განმეორდება და „ლეიკერსი" იბრძოლებს საბოლოო გამარჯვებისთვის".

არადა, ამ დღეს რომ „ლოს-ანჯელესს" მართლაც არ სწყალობდა ბედი, ჯერ იქიდანაც ჩანს, რომ წინა შეხვედრის საუკეთესო ბომბარდირმა სემ პერკინსმა (25 ქულა) 15 სროლიდან მხოლოდ ერთი მოახვედრა მიზანს და საბოლოო ჯამში თავის გუნდს 3 (!) ქულა შესძინა. დამარცხებულთა შორის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელები იყვნენ იუგოსლაველი ვლადე დივაცი (27) და „მეჯიკ" ჯონსონი (22).

**მაიკლ ჯორდანი:** „მე თუ მკითხავთ, ამ მატჩში ძალზე ეფექტურად ითამაშა უნივერსალურმა სკოტ პიპენმა, რომელიც თვითონაც კარგად უტევდა კარს და „მეჯიკსაც" საიმედოდ მეურვეობდა. მეტოქის მცველთაგან ჩემზე საუკეთესო შთაბეჭდილება ბაირონ სკოტმა დატოვა".

## ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის XVI ტურის შეხვედრები

„ალაზანი" (გურჯაანი) — „სულორი" (ვანი) 7:1
„მარგვეთი" (ზესტაფონი) — „ამირანი" (ოჩამჩირე) 4:2
„იბერია" (თბილისი) — „შევარდენი-1906" (თბილისი) 2:0
„გურია" (ლანჩხუთი) — „ივერია" (ხაშური) 6:2
„გორდა" (რუსთავი) — „სამგურალი" (წყალტუბო) 5:0
„ქუთაისი" (ქუთაისი) — „მზიური" (გალი) 3:1
„კოლხეთი-1913" (ფოთი) — „სანავარდო" (სამტრედია) 1:1
„ბათუმი" (ბათუმი) — „კოლხეთი" (ხობი) 4:0
„ცხუმი" (სოხუმი) — „დილა" (გორი) 4:1
„ოდიში" (ზუგდიდი) — „მერცხალი" (ოზურგეთი) 3:2

## ვაზუსტებთ...

**„წლეულს**, 15-20 მაისს, თბილისში ჩატარდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი პნევმატური იარაღით სროლაში. საინფორმაციო წყაროებმა გულშემატკივრებს მიაწოდეს სხვადასხვა ცნობა სეულის ოლიმპიადისა და მსოფლიო ჩემპიონის ნინო სალუქვაძის მიერ მოპოვებული შედეგის შესახებ. გთხოვთ, გვაცნობოთ ზუსტი პასუხი: რამდენი ქულა მოაგროვა მან პნევმატური პისტოლეტით ამ ასპარეზობაზე". — გვწერენ ამ სახეობის მოყვარულთა ერთი ჯგუფის სახელით ნუნუ სალუქვაძე და მაკა ქამუშაძე.

**რედაქცია** დაუკავშირდა საქართველოს ტყვიის სროლის ფედერაციის პასუხისმგებელ მდივანს ბატონ გივი ბოსტოღანაშვილს, რომელმაც მოგვაწოდა შემდეგი ცნობა: „ნინო სალუქვაძემ ეროვნულ ჩემპიონატში პნევმატური პისტოლეტით 10 მეტრიდან ასპარეზობისას 400 შესაძლებლიდან 389 ქულა მოაგროვა, შემდეგ 10 ფინალური გასროლით — კიდევ 95. ჯამში 500 შესაძლებლიდან 484 ქულა მოაგროვა, რამაც მას საქართველოს რესპუბლიკის ჩემპიონის ტიტული მოუტანა".

### მოძღვრის მაგალითი

# ის წლები სპორტმაც გამილამაზა...

**ძველ** ფოთელებს კარგად ახსოვთ ომის პერიოდში როგორ იკრიბებოდნენ ხოლმე ყმაწვილები და პორტში დისლოცირებულ კრეისერებზე მომუშავე მეზღვაურებს ისე, სახალისოდ, ხან კალათბურთს, ხან ფეხბურთს ეთამაშებოდნენ. ეს გასართობი შეჯიბრებები თანდათან პოპულარული გახდა და მალე ქალაქის პირველობების გამართვაც კი დაიწყეს. კალათბურთელთა საქალაქო ჩემპიონატში, მაგალითად, შვიდი-რვა გუნდი მონაწილეობდა, უფრო მეტად უფროსებისა და, მათ შორის, რა თქმა უნდა, ჩვენთვის უკვე ცნობილი ზღვაოსნებიც სცდიდნენ ძალებს. მაღალი, მხარბეჭიანი ბიჭები იყვნენ და კალათბურთს განსაკუთრებულად მოხდენილად თამაშობდნენ, თუმცა, ფოთელთა უმრავლესობა მხარს მაინც სკოლის მოსწავლეების გუნდს უჭერდა. ქალაქის სხვადასხვა სკოლიდან ამ გუნდში შეიკრიბნენ ფრიდონ გერსამია, გივი ლიპარტია, ომარ ლაშხია, გიორგი შეშელიძე, კუკა ცომაია, ამიკო ლომაია, გოგი ბარაბაში. მათ შორის იყო გედევან ხელაიაც, პატარა ბიჭი. ომიანობის, შიმშილსა და გაჭირვებას რომ გაექცა თბილისიდან და ფოთში ბებია-ბაბუასთან შეაფარა თავი. აი, ეს ყმაწვილები ხშირად ისეთ დღეს აყრიდნენ ორმეტრიან „მატროსებს“, გულშემატკივრები, აღტაცებას ვერ ფარავდნენ, სეზონის ბოლოს მოსწავლეთა გუნდი პირველზე თუ არა, რომელიმე საპრიზო ადგილზე მაინც უთუოდ გადიოდა.

ბიჭებს არც სკოლისთვის უღალატიათ. კარგად თამაშობდნენ და კარგადაც სწავლობდნენ. ამიტომ იყო, რომ თითქმის ყველამ შემდგომ სტუდენტობას და სტუდენტურ სპორტსაც გაუსინჯა გემო.

სამწუხაროდ, დღეს ჩვენს უმაღლეს სკოლებში დაიკარგა ის სპორტული ტრადიციები. სულმნათი ნიკო კეცხოველის დროინდელი უნივერსიტეტიდან რომ მომდინარეობდა. მაშინ ხომ სტუდენტთა შეჯიბრებები მთელი ქალაქის ყურადღების ცენტრში იყო ხოლმე, თბილისელთა უმრავლესობაც იმ დღეებით ცოცხლობდა და სუნთქავდა, ეს ტურნირები სცილდებოდა ჩვეულებრივი სპორტული ასპარეზობის ფარგლებს და გრანდიოზულ ზეიმად იქცეოდა. იმ დღესასწაულების მომსწრე და მონაწილეა გედევან ხელაიაც, ამჟამად გორის ეკონომიკური ინსტიტუტის რექტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ბატონი გედევანი თავისი სამსახურებრივი მოვალეობის გამო დღესაც მჭიდრო კავშირშია სტუდენტობასთან, მაგრამ მასთან საუბარი მაინც წარსულის გახსენებით დავიწყეთ.

— როგორც ყველა ქართველ ბიჭს, თავიდან მეც ფეხბურთი მიტაცებდა, კარის ფხიზელი დარაჯობა ჩემი სპორტული ოცნება იყო. კარგად მახსოვს, ერთხელ, თამაშის დროს, კარის მარცხენა მაღალ კუთხეში ძლიერად დარტყმული ბურთი ისე მოხდენილად და ლამაზად „ჩამოვხსენი“, სპეციალისტებმაც კი დიდი სპორტული მომავალი მიწინასწარმეტყველეს. მაგრამ ეს ინტერესი მალე გამინელდა. კალათბურთმა ყველა ადრინდელი გატაცება დამავიწყა. მივხვდი, ეს „ჩემი თამაში“ იყო. რაც უფრო მეტ დროს ვუთმობდი სპორტს, მით უფრო ბეჯითად და გულმოდგინედ ვსწავლობდი, კალათბურთი ჩემთვის მეცადინეობის ერთგვარ სტიმულად იქცა.

სტუდენტობამ კი ახალი, რაღაც განსაკუთრებული ხიბლი შესძინა ჩემთვის კალათბურთს, მით უმეტეს, უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორი ბატონი ნიკო კეცხოველი სპორტს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. იგი ერთნაირად ზრუნავდა მომავალი სპეციალისტის პროფესიულ დაოსტატებაზე და მის სულიერ და ფიზიკურ განვითარებაზე. ამ მხრივ იგი თავად აძლევდა მაგალითს სტუდენტობას — ფიზიკურად კარგად გამოწრთობილს, ბუნების ტრფიალს, ფეხით ჰქონდა შემოვლილი მთელი საქართველო. ჩვენგანაც ამასვე მოითხოვდა — ჰარმონიულად შეგვეთავსებინა ერთმანეთისთვის სპორტში ვარჯიში და ბეჯითი მეცადინეობა. უცოდინარი სპორტსმენი ვერც წარმოედგინა. თუ კარგად სწავლობდი, მზრუნველობას არ მოგაკლებდა.

● **ამიტომაც იყო, წლების მანძილზე უნივერსიტეტის გუნდი კალათბურთელ სტუდენტთა შორის ლიდერობას რომ არავის უთმობდა...**

— მართლაც მონოლითური, მეგობრული გუნდი იყო. ერთმანეთის მიმართ, მეგობრობის მიუხედავად, დიდ მომთხოვნელობას ვიჩენდით. ამიტომ, ჩვენს ერთ მუშტად შეკრულ გუნდს ძნელად თუ გაუმკლავდებოდა ვინმე. მერე როგორი ბიჭები იცავდნენ მის ღირსებას: დათიკო ქამუშაძე, გოგი ბახტურიძე, კოტე ჩოლოყაშვილი, კარლო ადეიშვილი, ზურაბ ჯაფარიძე, კოკა კალანდაძე, ცოტნე გოგიაშვილი, რეზო კაკაბაძე, გივი ლამბაშიძე, მურმან ურუშაძე, ჩემი ფოთელი მეგობარი ფრიდონ გერსამია. ძლიერი, ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდები იყვნენ. მათგან ბევრის სპორტული ბიოგრაფია სკოლიდანვე დაიწყო, ბევრი „ქუჩის სპორტის აკადემიამაც“ გამოაწრთო და დაავაჟკაცა. თუმცა, მარტო ჩვენ რას შევძლებდით, რომ არა მწვრთნელები — შალვა დიასამიძე, გიორგი ავალიშვილი და ევგენი აბაიშვილი. სამივენი პრინციპულობით და მომთხოვნელობით გამოირჩეოდნენ. თან თითოეული ჩვენგანის ხასიათი, შესაძლებლობები, ინტერესები ზედმიწევნით ჰქონდათ შესწავლილი.

გედევან ხელაია

კალათბურთი ჩვენთვის მარტოოდენ სპორტი არ იყო, ის უფრო მეტს გვასწავლიდა, რაც შემდეგ ცხოვრებაშიც ბევრჯერ გამოგვდგომია, რაც მთავარია, ერთმანეთის გატანა ვისწავლეთ, ჩამორჩენილ სტუდენტს გუნდში არ მიიღებდნენ. თუ ვინმე ველარ ასწრებდა მეცადინეობას, ბატონი ნიკოს მკაცრი განაჩენისაგან — გარიცხვისაგან რომ გადაგვერჩინა, ყველანი ვეხმარებოდით.

● **ძველებისაგან გამიგონია, ჩვენს დროს ყველაფერი ჭირდაო. მოედნებისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი კლუბების სიმრავლით ახლაც ვერ დავიკვეხნით, მაგრამ მაშინ კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობა ყოფილა. არადა, სპორტის სიყვარული თითქოს თქვენ უფრო გქონდათ მომადლებული...**

— მართალია, ბევრი რამ გვაკლდა, მაგრამ ვითმენდით. ჩვენი ხელით ვიკერავდით ტრუსებს, საბურავის ნაჭრის ძირიანი „სპორტული ფეხსაცმელი“ გვენატრებოდა, არც მოედანი გვქონია. უნივერსიტეტის ეზოში ის ცნობილი სპორტული მოედანიც ჩვენ თვითონ მოვაწყვეთ, დეკორატიული მცენარეებით გავალამაზეთ. უნივერსიტეტი გვიყვარდა, კალათბურთს ვეტრფოდით და, როცა ასეთი სიყვარულია, გაჭირვება რა მოსატანია.

● **ამბობენ, ასეთ სიყვარულსა და პასუხისმგებლობის გრძნობას ბატონი ნიკო უღვიძებდა სტუდენტებს და ხშირად სიურპრიზებითაც ახარებდაო.**

— ერთ ასეთ ამბავს მეც გავიხსენებ. საქართველოს ნაკრებში სამი უნივერსიტეტელიც მიგვიწვიეს. ერთი თვის ვარჯიშის შემდეგ, ბაქოს გუნდს უნდა შევხვედროდით, მაგრამ მეტოქე ვერ ჩამოვიდა. მატჩი მაინც გაიმართა. ნაკრებს უნივერსიტეტელები ვეთამაშეთ (ჩვენ, სამივენი სტუდენტთა გუნდში დავბრუნდით, ნაკრები უჩვენოდაც ძლიერი იყო). დიდი ბრძოლის შემდეგ სამი ქულის სხვაობით გავიმარჯვეთ. ამ წარმატებამ ბატონი ნიკო გაახარა. მატჩის შემდეგ მადლობა გადაგვიხადა და თან ათი კალათბურთელი ლენინგრადში მიგვავლინა საკავშირო თამაშების სანახავად.

● **იმდროინდელი უნივერსიტეტის კალათბურთელები ხშირად საკავშირო ჩემპიონატის მონაწილე უძლიერეს გუნდებსაც ხვდებოდნენ...**

— 1946 წელს მეც მომიხდა ტარტუს „კალევთან“ თამაში. „კალევი“ ყოველთვის გამოირჩეოდა სტაბილურობით და მაშინაც საკმაოდ ძლიერი გუნდი იყო. წარმოიდგინეთ, სახელგანთქმულ ოსტატთა ხუთეული — კრუსი, კულამი, კრეევალდი, ეხავერი, ლისოვი. წინასწარ ყველამ იმედი გადაგვიწურა, თამაშს რა აზრი აქვს, მაინც წააგებთო. თან ანგარიშში რაღაც საშინელ სხვაობას ასახელებდნენ. მატჩი უნივერსიტეტის ეზოში გაიმართა. ზღვა ხალხი მოვიდა. ბატონი ნიკოც იქ იყო. მთელი ძალით ვითამაშეთ და, წარმოიდგინეთ, ძლივს მოგვიგეს. თანაც ლისოვმა ხუთი პერსონალური ჯარიმა მიიღო და აქედან სამი ჩემი „დამსახურება“ გახლდათ. ეს, რა თქმა უნდა, [illegible]. ამ სახელოვან კალათბურთელებს არ ეგონათ, ასე თუ გაუჭირდებოდათ სტუდენტურ გუნდთან გამარჯვება.

● **ამ ლამაზი მოგონებების გარდა რა მოგცათ სპორტმა?**

— გარდა იმისა, რომ ფიზიკური სიჯანსაღე მომცა, სპორტმა ხასიათიც გამომიწრთო, მრავალი მეგობარი შემძინა, განმიმტკიცა პასუხისმგებლობის გრძნობა, მასწავლა ძალისა და ენერგიის გონივრულად, ეკონომიურად გამოყენება, ცხოვრების სწორ რეჟიმს მიმაჩვია. ჩემი და ჩემი მეგობრებისთვის სპორტი ადამიანობის ჭეშმარიტი სკოლა იყო.

არ ვიცი, შეიძლება ხანში რომ შევდივარ, უფრო იმიტომ ვაიდეალებ წარსულს, მაგრამ მერწმუნეთ, ეს მართლაც ულამაზესი წლები იყო ჩემს ცხოვრებაში.

● **ბატონო გედევან, საუბარში რამდენჯერმე სიყვარულით მოიხსენიეთ ნიკო კეცხოველი. ამ დიდებული ადამიანის ქება ბევრი თქვენი თანაგუნდელისგანაც მსმენია. ახლა თქვენ რესპუბლიკის ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის თავკაცი ბრძანდებით. იყენებთ თქვენი მოძღვრის მაგალითს ამჟამინდელ საქმიანობაში?**

— საქართველოში გორელ მოჭიდავეთა წარმატებების ამბავი ყველამ იცის. ამ ტიტულოვან მოჭიდავეთა უმეტესობა დღეს ჩვენი ინსტიტუტის სტუდენტია: ჯემალ მჭედლიშვილი, დავით ბაგაური, გიორგი ხინჩიკაშვილი, ზაზა ზოზიროვი; საქართველოს რეკორდსმენი, უროს ტყორცნაში, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი იოსებ მავერდაშვილი, მსოფლიო უნივერსიადის ჩემპიონი, მოფარიკავე ოლეგ ჩერნიშოვი. ამ სიის გაგრძელება კიდევ შეიძლება. მეც, შეძლებისდაგვარად, ხელს ვუწყობ, რათა სპორტსმენებმა სწავლა და სპორტი ერთმანეთს შეუთავსონ და არ ჩამორჩნენ.

უკვე ორი წელიწადია, გორში დავიწყეთ მივიწყებული ეროვნული თამაშების აღორძინება. ამ საქმეში ჩვენი ინსტიტუტის სტუდენტებიც მონაწილეობენ. ლახტი, ჩიკორი, ცხენოსნური თამაშები, ქართველმა ახალგაზრდობამ არ უნდა დაივიწყოს.

უკვე ვთქვი, უნივერსიტეტის წლები გარკვეულწილად სპორტმაც გამიხალისა და გამილამაზა, ამაში „ბრალი“ ბატონ ნიკო კეცხოველს მიუძღვის. მეც ვცდილობ, მივბაძო მას, რათა წლების შემდეგ ჩვენი ინსტიტუტის კურსდამთავრებულებმაც ასევე სიამოვნებით მოიგონონ თავიანთი სტუდენტობის მშვენიერი ხანა.

ესაუბრა **ინგა ჩახვაშვილი.**

---

# ჩვენში კი... კლება

**სპორტული** ორიენტირება საქართველოში 60-იან წლებში დაინერგა. ვისაც ამ სახეობასთან ჰქონია რაიმე კავშირი, დამეთანხმება, რომ იგი ერთობ მიმზიდველია. მიუხედავად ამისა, სპორტული ორიენტირება ჩვენში თითქმის უცნობია, არა მარტო მოსახლეობისთვის, არამედ სპორტული საზოგადოებისათვისაც. მხოლოდ რამდენიმე ადამიანის დამსახურებად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ეს სახეობა დღესაც როგორღაც სულდგმულობს ჩვენში.

იყო დრო, როდესაც თბილისის ტყეებში დიდი ჟივილ-ხივილი იდგა შეჯიბრებების დროს. სპორტული ორიენტირების მოყვარულთა რაოდენობაც ნელ-ნელა მატულობდა. სპორტულ მაღაზიებში გამოჩნდა კომპასები, იმ დროს დაიბეჭდა რუკების უმრავლესობაც. რაც მთავარია, იყო ხალისიანი და საქმიანი თანამშრომლობის ატმოსფერო. ყოველ წელს ტარდებოდა ქალაქისა და რესპუბლიკის პირველობები. შეიქმნა სპორტული ორიენტირების ფედერაცია. ყველა, ვინც თავიდან მოვიდა სპორტულ ორიენტირებაში და ვისი მეშვეობითაც სპორტის ეს სახეობა პირველ ნაბიჯებს დგამდა, იყო უანგარო, სპორტის მოყვარული ადამიანი, სპორტული ორიენტირების ფუძემდებელი საქართველოში: კოტე ასტახიშვილი, მარინე ურთმელიძე, როსტომ ჩეკურიშვილი, არსენ აბრამიშვილი, ნოდარ ჯაფარიძე, ფატი ბურდული, ერნსტ ქვანია...

შემდეგ მოხდა ის, რაც საბჭოეთში კანონზომიერი იყო. ეს პატივსაცემი ადამიანები ჩამოაშორეს ამ სახეობას. სპორტული ორიენტირების ფედერაცია აღარ არსებობს.

სპორტის ეს სახეობა ჩაისახა სკანდინავიის ქვეყნებში, როგორც სამხედრო სახეობა და ძირითადად გამოყენებითი მნიშვნელობა ჰქონდა.

ახლა სპორტული ორიენტირება მთელს მსოფლიოში ვითარდება. ტარდება მსოფლიო ჩემპიონატები და, შესაძლოა, ოლიმპიური სახეობაც გახდეს. რომ არ დავაგვიანოთ, დღესვეა საჭირო მომზადება.

სპორტული ორიენტირების ლაზათი და აზარტი მის მასობრიობაშია. ყველა ასაკის ადამიანს შეუძლია ჩაერთოს შეჯიბრში. მაგალითად, ბალტიისპირა ქვეყნებში, რამდენიმე ათასი კაცი იღებს ერთად სტარტს, ჩვენში კი ამ სახეობით დაინტერესებულთა რაოდენობამ კლება იწყო, ვინც დაოსტატდა, არავითარი პერსპექტივა აღარ გააჩნია. ერთადერთი მოქმედი სკოლა თბილისშია, სადაც სპორტული ორიენტირების ჯგუფებია გახსნილი — ბავშვთა და მოზარდთა მთამსვლელური რესპუბლიკური სკოლა. იქ კი, ცხადია, უფრო მთამსვლელობის გულშემატკივრები არიან. თუმცა, ყოველწლიურად ტარდება მოსწავლეთა რესპუბლიკური ჩემპიონატი და შეჯიბრება კოტე ასტახიშვილის პრიზზე.

სპორტული ორიენტირების განვითარების დღევანდელი საერთაშორისო დონე მოითხოვს შეჯიბრებისთვის ისეთი ადგილის შერჩევას, რომელიც რელიეფის მრავალფეროვნებით გამოირჩევა, სადაც ერთმანეთს შეენაცვლება მთები, მინდვრები, კლდიანი და ტყიანი ადგილები. საქართველოს ბუნებრივი პირობები ზუსტად მიესადაგება იმ სტანდარტებს, რომლებითაც დღეს ადგილების შერჩევა ხდება მაღალი რანგის შეჯიბრებებისთვის. სხვა რესპუბლიკების სპეციალისტები არაერთხელ აღფრთოვანებულან საქართველოს ბუნებრივი პირობებით. ჩვენი სურვილია საქართველოში გაიმართოს მაღალი დონის საერთაშორისო ტურნირები, რომლებშიც ჩვენი ნაკრები წარმატებით იასპარეზებს. ამისათვის, რა თქმა უნდა. ბევრი პრობლემაა გადასაწყვეტი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სპორტული რუკების უქონლობა... 1988 წელს დაიბეჭდა თბილისის შემოგარენის საკმაოდ კარგი სპორტული რუკა, მაგრამ სახსრების უქონლობის გამო მოსკოვის კოოპერატივ „რუსიდან“ დღემდე ვერ გამოგვისყიდია,

**პარმენ დიაკონიძე**

---

# კონტაქტები—ორმხრივ სასარგებლო

**საკავშირო** სარბიელის მიტოვების შემდეგ საქართველოს სპორტსმენები ახალი, საქმიანი კონტაქტების დამყარებას ცდილობენ სხვადასხვა ქვეყნის ათლეტებთან. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ძველ ნაცნობებთან უფრო გვიხდება საქმის დაჭერა, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მხოლოდ პარტნიორთა „ვიწრო წრით“ აპირებდეს ვინმე დაკმაყოფილებას.

სწორედ საქმიანი ურთიერთობა აკავშირებთ საქართველოსა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკების სპორტსმენებს. რიგაში გამართულ თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ლატვიის ღია ჩემპიონატში ჩვენი რესპუბლიკიდან მიწვეული იყო სპორტსაზოგადოება „მართვეს“ მოჭიდავეთა ნაკრები გუნდი. მართალია, ბალტიისპირელ სპორტსმენებს არ შესწევთ ძალა, კონკურენცია გაუწიონ ქართველ ათლეტებს, მაგრამ დღევანდელ დღეს ამგვარ ასპარეზობებს დიდი მნიშვნელობა აქვთ მათთვისაც და ჩვენთვისაც. როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველოს მოჭიდავეებს თავი არ შეურცხვენიათ და რიგიდან 12 მედლით დაბრუნდნენ: 5 „ოქრო“, 3 „ვერცხლი“, 4 „ბრინჯაო“. პირველი ადგილები დაიკავეს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა გივი სისაურმა (57 კგ), ზოოვეტერინარული ინსტიტუტის სტუდენტებმა: გიორგი ბერუაშვილმა (62), კახა ჯაბიძემ (90), ზაზა ტყეშელაშვილმა, (100) და აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტმა ლევან ებანოიძემ (მძიმე). მეორე ადგილზე გავიდნენ — გელა გელაშვილი. (62), აკოფ აკოფოვი (74) და გოგიტა ხაბელაშვილი (68), მესამეზე — ვანო ყუშიტაშვილი (52), მიხეილ ჯაფარიძე (57), გელა გელაშვილი (68) და ვახტანგ სულთანიშვილი.

მალე ჩვენი რესპუბლიკის თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრები კერძო მიწვევით (რა თქმა უნდა, საკავშირო სპორტსახკომის გვერდის ავლით) გაემგზავრება კანადაში.

---

## ინფორმაცია

**ის გარემოება**, რომ ისტორიაში პირველად მსოფლიო ჩემპიონს ჩინელი პრეტენდენტი ქალი შეხვდება, რა თქმა უნდა, გულშემატკივრების ინტერესს იწვევს. იბადება კითხვა, ჩინელმა მოჭადრაკეებმა, რომლებიც სულ ახლახან გამოვიდნენ საერთაშორისო ასპარეზზე, როგორ მიაღწიეს თვალსაჩინო წარმატებას.

აი, რა წერია პეკინის გაზეთ „ჟენმინ ჟიბაოს“ მიერ გამოქვეყნებულ ცნობაში. ჩინეთი ფიდეს შემადგენლობაში მხოლოდ 1975 წელს შევიდა, მანამდე ჩინელ მოჭადრაკეთაგან არავის მიუღია მონაწილეობა რომელიმე საერთაშორისო ტურნირში. ამ ქვეყნის ოსტატებს ძალიან შველოდათ ერთი გარემოება — ისინი თამაშობდნენ ე.წ. ჩინურ ჭადრაკს, რომელიც ძალიან ჰგავს საყოველთაოდ მიღებულს. ესაა მათი წარმატების საიდუმლო.

## საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

[illegible]

### XIII ტურის

### გამოტოვებული მატჩი

**„სამგურალი“ (წყალტუბო) — — „მარგვეთი“ (ზესტაფონი) 3:2 (2:0).**

**წყალტუბო. 26 მაისის სახელობის სტადიონი. 7. ივნისი.**

**„სამგურალი“: მიქაძე, ჭელიძე, გოგელიძე, ხურცილავა, ვ. ფეხტვენიძე, რ. იობიძე, ცნობილაძე, სიჭინავა, ჭ. იობიძე (ლ. ფეხტვენიძე), ბაბუნიძე, ხარაბაძე (ცყონია).**

**„მარგვეთი“: დევაძე, ტოგონიძე, ბურიელიძე, ლონლაძე (რომელაშვილი), ლაცაბიძე, გაბრიჭიძე, (ხუჯაძე), ფოცხვერაშვილი, ავრამიდისი, ჯულელი, კიკნაძე, კერძევაძე.**

**მსაჯები: გ. ხეფიაშვილი, ი. შალამბერიძე (ორივე — თბილისი), დ. რეხვიაშვილი (გარდაბანი).**

**გააფრთხილეს: გ. ბაბუნიძე, ვ. ფეხტვენიძე, მ. ლონლაძე, ი. ჯულელი.**

ეს იყო მე-13 ტურის გამოტოვებული მატჩი. პირველ ნახევარში „სამგურალს“ თავი არ დაუზოგავს,, რამდენიმე სახიფათო კონტრშეტევა განახორციელეს სტუმრებმაც, თუმცა, წყალტუბოელთა გუნდი მთელი ტაიმის განმავლობაში საფუძვლიანად ფლობდა ინიციატივას. „სამგურალმა“ პირველ წარმატებას მე-10 წუთზე მიაღწია — თავდამსხმელთა დასახმარებლად მეტოქის საჯარიმო მოედანზე ჩასულმა ნ. ჭელიძემ თავური დარტყმით გახსნა ანგარიში. შვიდი წუთის შემდეგ მასპინძელთა კაპიტანმა გოგელიძემ ზუსტი დარტყმით მეკარისაგან მარცხენა დაბალ კუთხეში მეორე გოლი გაიტანა.

მეორე ნახევარი შედარებით ნელ ტემპში დაიწყო, თუმცა, წყალტუბოელთა შეტევები უფრო მწვავე გახლდათ. 63-ე წუთზე მრავალსვლიანი კომბინაციის შემდეგ, ბურთი ხელსაყრელ პოზიციაში მიიღო გ. ხარაბაძემ, რომელმაც მესამედ აიძულა სტუმრები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში. ზესტაფონელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი ბევრს ეცადნენ მდგომარეობის გამოსწორებას და ერთხანს სათამაშო ინიციატივასაც დაეუფლნენ — 68-ე წუთზე მათმა კაპიტანმა ნ. კიკნაძემ, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო იყო სტუმართა შორის, ზუსტი დარტყმით გაიტანა გოლი. 87-ე წუთზე ფოცხვერაშვილმა ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა. მეტის გაკეთება ამ შეხვედრაში ზესტაფონელებმა ველარ შეძლეს. 3:2 — გაიმარჯვა „სამგურალმა“.

**ომარ ჭუმბურიძე,**
**„ლელოს“ კორ.**

### XV ტური

**„დილა“ (გორი) — „ბათუმი“ (ბათუმი) 2:0 (2:0)**

**გორი. ცენტრალური სტადიონი. 8 ივნისი.**

**„დილა“: ჭანტურია, კონდრატიევი, პაპიძე, წიკლაური, დალაქიშვილი, შავდათუაშვილი, მარეხაშვილი (მიქელაძე), მიხანაშვილი, მარლიშვილი, ხორგუაშვილი, ნეფარიძე (გაგნიძე).**

**„ბათუმი“: ბალაძე, გოგიტიძე, მუჯირი (ლლონტი), დურდიაძე, შეყილაძე, ზედანია, მ. მახარაძე, შანიძე, ნახუაშვილი (უჯმაჯურიძე), ტულუში, კიურჩიევი.**

**მსაჯები: გ. ხეფიაშვილი (თბილისი), პ. დოგრაშვილი, თ. მაჩიტიძე (ორივე — ქუთაისი).**

**გააფრთხილეს: ზ. დალაქიშვილი, დ. მიხანაშვილი, ი. ნახუაშვილი, თ. ტულუში.**

**გოლები: ზ. დალაქიშვილი, დ. ნეფარიძე.**

### XVI ტური

**„ცხუმი“ (სოხუმი) — „დილა“ (გორი) 4:1 (0:1)**

**სოხუმი. ცენტრალური სტადიონი. 8 ივნისი.**

**„ცხუმი“: ყორყოლიანი. ჩიხრაძე, ფარულავა, კურგენიანი (გოგიაშვილი), მალანია, ა. ხიჭინავა (თ. ხიჭინავა), ჯიშკარიანი, პაპავა, გოგრიჭიანი, ცაავა, გაბისკირია.**

**„დილა“: ჭანტურია, კონდრატიევი, პაპიძე, წიკლაური (გაგნიძე), დალაქიშვილი, შავდათუაშვილი (მიქელაძე), მარეხაშვილი, თარხნიშვილი, მარლიშვილი, ხორგუაშვილი, ნეფარიძე.**

**მსაჯები: ნ. კილაძე, ზ. ბერიძე (ორივე — თბილისი), დ. რეხვიაშვილი (გარდაბანი).**

ამ მატჩით დაიწყო ეროვნული ჩემპიონატის XVI ტური. მასპინძლებმა თავიდანვე ხელთ იგდეს ინიციატივა. „ცხუმის“ გამუდმებულ იერიშებს „დილამ“ კონტრთამაშით უპასუხა და შეძლო კიდეც ანგარიშში დაწინაურება — გოლი მარეხაშვილმა გაიტანა — 1:0.

მეორე ნახევარში „ცხუმმა“ უმატა ტემპს და ჯიშკარიანმა გაათანაბრა კიდეც ანგარიში — 1:1. 68-ე წუთზე ცაავას ჩინებული გადაცემით გოგრიჭიანმა ანგარიში ორამდე გაზარდა. მესამე ბურთი ამ მატჩში მალანიას ანგარიშზეა (82-ე წუთი). „ცხუმს“ არც ამის შემდეგ შეუწყვეტია იერიშები და გოგიაშვილმა მატჩის მიწურულს კიდევ ერთი ბურთი გაიტანა — 4:1.

**დაზმირ ბელენავა,**
**„ლელოს“ კორ.**

### I ჯგუფი

7 ივნისს გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მე-10 ტურის გამოტოვებული მატჩები I ჯგუფის გუნდებს შორის: „ეგრისი“ (სენაკი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 3:0, ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 0:0, „ოკრიბა“ (ტყიბული) — „არმაზი“ (მცხეთა) 3:0, „მრეტები“ (თბილისი) — „სიონი“ (ბოლნისი) 3:0, „არაგვი“ (დუშეთი) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 3:1, „იმერეთი“ (ხონი) — „სქური“ (წალენჯიხა) 2:1, „ქართლი“ (გორის რ-ნი) — „შუქურა“ (ქობულეთი) 3:2, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (თბილისი) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 3;2.

### II ჯგუფი

**ოთხი** ტურიც და დამთავრდება საქართველოს მეორე ეროვნული ჩემპიონატი. საინტერესოდ და დაძაბულად მიმდინარეობს შეხვედრები მეორე ჯგუფში, სადაც 66 გუნდი ოთხ ქვეჯგუფად არის განაწილებული. **„ა“ ქვეჯგუფში** 27 ქულით პირველ ადგილზე ნაფარეულის „ნაფარეულია“. ერთი ქულით ნაკლები აქვს ჭაბუკიანის „ჭაბუკიანს“. **„ბ“ ჯგუფს** ერთპიროვნული ლიდერი ჰყავს — თბილისის „მერანი“ — გუნდს 31 ქულა აქვს, 25-25 ქულით მეორე-მესამე ადგილებს იყოფენ ქარელის „იბერია“ და თბილისის „იმედი“. **„გ“ ქვეჯგუფში** პირველობაზე პრეტენზიას ერთბაშად სამი გუნდი — ბაღდათის „ბაღდათი“, ლანჩხუთის „გურია-2“ და ბათუმის „მეგობრობა-89“ აცხადებს. სამივე კლუბს 21-21 ქულა აქვს. **„დ“ ქვეჯგუფში** კი 28 ქულით პირველ ადგილზეა ზუგდიდის „შევარდენი“, მას ოთხ-ოთხი ქულით ჩამორჩებიან ბანძის „ოჯალეში“ და ტყვარჩელის „ლაშქინდარი“.

# მსაჯი იგერიებს „შეტევას“

## ხუთი შეკითხვა შეხვედრის არბიტრს

**ვანის „სულორისა“ და ოჩამჩირის „ამირანის“** კალენდარული მატჩი ოჩამჩირის სტადიონის რეკონსტრუქციის გამო, გალში გაიმართა. შეხვედრის შემდეგ „ლელოს“ რედაქციას ეცნობა იმის შესახებ, რომ თითქოსდა, არბიტრებმა მიკერძოებით (ოჩამჩირელთა სასარგებლოდ) იმსაჯეს, რაც შედეგშიც აისახა — „ამირანმა“ მატჩი მოიგო ანგარიშით 3:0. რედაქციამ ბრალდების ფაქტი სამსჯავროზე არ გამოიტანა მანამ, სანამ მატჩის მსაჯს ჯემალ წერეთელს არ მოუსმინა.

რედაქციამ არბიტრს ხუთი შეკითხვა დაუსვა:

**1. მატჩის წინ თუ გამოიძახეთ ვანის „სულორის“ ხელმძღვანელობა და უთხარით, რომ დაეთმოთ მატჩი, რადგან ასე იყო საჭირო, თანაც სთხოვეთ არ „ჩაეშვით“?**

— მსგავსი რამ არ მითქვამს და არც ვანელთა ხელმძღვანელობას დავლაპარაკებივარ.

**2. თამაშის მსვლელობისას, მოედანზე, უთხარით თუ არა ვანელთა მოთამაშეს დავით პაიკაძეს, ტყუილად ნუ გაირჯებოდნენ, მათ ეს შეხვედრა უნდა დაეთმოთ?**

— ვანელთა ფეხბურთელ დავით პაიკაძისათვის მსგავსი რამ არ მითქვამს. პირიქით, შეხვედრის მსვლელობისას ვცდილობდი, ორივე გუნდის ფეხბურთელებს მოხსნოდათ დაძაბულობა, რაც გამოწვეული იყო მათი სატურნირო მდგომარეობით.

**3. ზემოაღნიშნულის თაობაზე მატჩის კომისრის ვისლან მელაშვილის თანდასწრებით, თამაშის შემდეგ. გაიმართა თუ არა. ვანის გუნდის ხელმძღვანელებთან საუბარი იმავე საკითხზე, რაც ზემოთ ითქვა?**

— ცილი დამწამეს: მაბრალებდნენ, თითქოს ოჩამჩირელებს ვეხმარებოდი. დაობდნენ რაღაც საჯარიმოზეც. სამწუხაროდ, არც ერთ გუნდს არ აღმოაჩნდა ვიდეოკამერა, რაც ნათელს მოჰფენდა ვითარებას.

**4. იყო თუ არა დარღვევები მატჩის მსვლელობისას და დაფიქსირდა თუ არა ისინი ოქმში, თუ არ დაფიქსირდა, რატომ?**

— დარღვევები იყო, და, რა თქმა უნდა, ოქმშიც დაფიქსირდა: კერძოდ, კინკლაობისთვის გავაფრთხილე ვანელი როინ კანკაძე (№ 2) და ოჩამჩირელთა. თავდასხმის ლიდერი გელა გაბისონია (№ 10). დავძენ იმასაც, რომ მატჩის ინსპექტორმა ვისლან მელაშვილმა მსაჯთა შეფასების ათბალიანი სისტემით რვა-ნახევარი დამიწერა, რაც ჩვენთვის მაღალ შედეგად ითვლება.

**5. მატჩის შემდეგ როგორ მოიქცნენ ნეიტრალური გალელი გულშემატკივრები. იყო თუ არა მათი მხრიდან გვერდით მსაჯებზე თავდასხმის მცდელობა?**

— გალელი გულშემატკივრები. ვფიქრობ, კმაყოფილი დარჩნენ. რადგან. როდესაც მატჩის შემდეგ მიკერძოებას მაბრალებდნენ, მათ აღნიშნეს — დაბრალება ყველაფრისა შეიძლება, მაგრამ დამტკიცება ძნელიაო. გვერდით მსაჯზე. თბილისელ ზაზა ლაცაბიძეზე მართლაც იყო თავდასხმის მცდელობა, მაგრამ როგორც იმ ვაი-გულშემატკივართან კამათისას გაირკვა, ის გალელი არ უნდა ყოფილიყო. სამწუხაროდ, ამის დამტკიცება ძნელია, მაგრამ მისი პრეტენზიებიდან ასე ჩანდა.

წეღან მკითხეთ, ოქმში ყველა დარღვევა დაფიქსირდა თუ არაო. ეს დარღვევა დამატებითი მოხსენებითი ბარათითაც ჩავაბარე ფეხბურთის ფედერაციას. ოქმის იმ განყოფილებაში, კი, სადაც შენიშვნებია მითითებული, აღვნიშნე, რომ ჩაბარდება დამატებითი მოხსენებითი ბარათი.

აქვე დავძენ, ტურნირის ბოლოსათვის მატჩის მომსახურება ჩვენთვის უკვე გაუსაძლისი ხდება, რადგან აუტსაიდერებს ლიგის დატოვება არ სურთ და ამ დიდ პაექრობაში ყველაზე ადვილი საქმე, რატომღაც, მსაჯის დადანაშაულებაა.

# დავუჯეროთ შედეგს!

**ახლახან** კიშინიოვში ნამდვილი საფეხბურთო ბუმი იყო. მოლდოვას დედაქალაქი საერთაშორისო ტურნირებს მასპინძლობდა მინიფეხბურთში. დიახ, ტურნირებს — 2 კვირაში ოთხი ასეთი შეჯიბრება გაიმართა.

საქართველო 2 კლუბით იყო წარდგენილი ასპარეზობაზე. თბილისის ინვალიდთა ასოციაციის კომერციულ ცენტრ „ცინას“ ამავე სახელწოდების გუნდმა და ოზურგეთის რაიონის სოფელ ნატანების „ნარინჯმა“ გამოთქვეს მასში მონაწილეობის სურვილი.

ოზურგეთელმა ფეხბურთელებმა მართლაც შესანიშნავად ითამაშეს. მათ ჯერ პროფესიონალთა კომერციული ტურნირი მოიგეს, სადაც ფინალში ბულგარეთის გუნდს სძლიეს, შემდეგ კი იმ ტურნირში გაიმარჯვეს, რომელშიც მოყვარულები და პროფესიონალები ერთად გამოდიოდნენ. „ცინა“ აქ III ადგილზე გავიდა. მათ ძალზე დასანანი მარცხი იწვნიეს ტულის „აგრორესურსთან“, რომელსაც შემდეგ ფინალში სძლია „ნარინჯმა“. თუმცა, თბილისელი ფეხბურთელები მარტო ბრინჯაოს მედლებს არ დასჯერდნენ: წარმატებით ითამაშეს მოყვარულთა ტურნირში, ზედიზედ დაამარცხეს პოლონეთის, ბულგარეთისა და რუმინეთის გუნდები და ფინალში აშკარად აჯობეს (12:3) ბულგარელთა მეორე გუნდს. ტურნირის საუკეთესო ბომბარდირის წოდებაც თბილისელმა მალხაზ ჩაჩხიანმა დაიმსახურა 22 გატანილი ბურთით.

„ცინაც“ (პრეზიდენტი ზურაბ ცინაძე, მწვრთნელი ნიკო თხელიძე) და „ნარინჯიც“ (პრეზიდენტი ნოდარ წულაია, მწვრთნელი ავთანდილ თავდუმაძე) ახლად ჩამოყალიბებული საფეხბურთო კლუბებია. მათი წარმატება ჩვენში მინიფეხბურთის პოპულარობისა და სიძლიერის უთუო დასტურია, ეს კი უცხოელებმაც აღნიშნეს. მათ აღიარეს, ჩვენი გუნდების სიძლიერე და დასძინეს „ცინა“ და „ნარინჯი“ უცხოეთის ბევრ პროფესიონალ მინიფეხბურთელთა კლუბსაც აჯობებსო.

უნდა ვერწმუნოთ მათ. ჩვენი კლუბების წარმატება ხომ ამის დასტურია.

**ლევან ლეონიძე**

# უცხოეთის ფეხბურთის ამბები

● **დამთავრდა** იტალიის თასის გათამაშება. გენუაში გაიმართა მეორე ფინალური შეხვედრა ადგილობრივ „სამპდორიასა“ და რომის „რომას“ შორის. რომაელებმა პირველ მატჩში გაიმარჯვეს ანგარიშით 3:1, საპასუხო შეხვედრაში მათ ფრეს მიაღწიეს (1:1) და ორი თამაშის შედეგით მოიპოვეს საპატიო პრიზი. ანგარიში 55-ე წუთზე 11-მეტრიანით გახსნა „რომას“ თავდამსხმელმა, გერმანელმა ფეხბურთელმა ფიოლერმა, შემდეგ ბრაზილიელმა სერეზომ, რომელიც „სამპდორიაში“ გამოდის, საპასუხო გოლი გაიტანა. აღსანიშნავია, რომ „რომა“ მეშვიდედ დაეუფლა თასს.

● **საფრანგეთის** თასის გათამაშებაში გაიმარჯვა „მონაკომ“, რომელმაც ფინალში ანგარიშით 1:0 დაამარცხა „მარსელი“. ეს გოლი თამაშის დამთავრებამდე 20 წამით ადრე გაიტანა პასიმ. ამრიგად, „მარსელმა“ წლეულს ჩემპიონობა მოიპოვა, მაგრამ თასი „მონაკოს“ დაუთმო.

● **საბჭოთა** კავშირის პირველობის მორიგი ტურის მატჩში სოხუმის „დინამომ“ შინ დაამარცხა სვერდლოვსკის „ურალმაში“ — 2:1.

● საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები ფინეთის ქალაქ ტურკუში გაემგზავრა, სადაც ჯერ ადგილობრივ კლუბებს შეხვდება, შემდეგ კი შვეციის ქალაქ გეტებორგში ჩავა საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად. იქ 13-16 ივნისს გაიმართება საერთაშორისო ტურნირი შვეციის, იტალიის, დანიისა და საბჭოთა კავშირის გუნდების მონაწილეობით. საბჭოთა ფეხბურთელთა პირველი მეტოქეა შვეციის ნაკრები.

● **კიეველმა** ფეხბურთელმა ალექსეი მიხაილიჩენკომ, რომელმაც გენუის „სამპდორიის“ შემადგენლობაში სულ ახლახან იტალიის ჩემპიონობა მოიპოვა, შესაძლოა დატოვოს ეს კლუბი და კონტრაქტი გააფორმოს შოტლანდიის „გლაზგო რეინჯერსთან“.

ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება „გლაზგო რაინჯერსისა“ და „სამპდორიის“ წარმომადგენლებს შორის. ასახელებენ თანხას — 2,2 მილიონ გირვანქა სტერლინგს, მაშინ როცა, „სამპდორიამ“ ა. მიხაილიჩენკო კიევის „დინამოსგან“ იყიდა 3,5 მილიონ გირვანქა სტერლინგად...

### · ჯორჯ ბესტი — საპყრობილეში

წარსული წლების მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ფეხბურთელი, ირლანდიის ნაკრებისა და ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედის“ განთქმული მარცხენა გარემარბი, 45 წლის ჯორჯ ბესტი საპყრობილეში მოხვდა. მას 12 თვით პატიმრობა ელის.

როგორც ინგლისის საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, ბესტს ბრალად დაედო ის, რომ მან რესტორანში ნიძლავი დადო ვინმე პოლ დევისთან, წააგო სანაძლეო, მაგრამ უარი თქვა ფულის გადახდაზე და მუშტებით გაუსწორდა მეტოქეს.

თვით ჯორჯ ბესტს მიაჩნია, რომ ამ ინციდენტისას აგრესორი პ. დევისი იყო, ამიტომაც სასამართლოს განაჩენს მან სამარცხვინო უწოდა.

### კარიერის დასასრულამდე?

**ცნობილი** ავსტრიელი ფეხბურთელი ანტონ პოლსტერი წარმატებით გამოდის „სევილიაში“. იგი ესპანეთის ჩემპიონატის ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი და სახიფათო თავდამსხმელია. პოლსტერს ხელშეკრულება „სევილიასთან“ წლეულს ზაფხულში უთავდება, მაგრამ კლუბის პრეზიდენტმა საინტერესო წინადადება შესთავაზა — ამ კლუბში თავისი სპორტული კარიერის ბოლომდე დარჩეს.

### ყველაფერს ქულებს ნუ ანაცვალებთ!

— ფეხბურთი, უპირველეს ყოვლისა, სანახაობა გახლავთ, მაყურებლებზე ზემოქმედების და შთაბეჭდილების მოხდენის საშუალება, ხელოვნება. ძალზე სცდებიან ის კლუბები, რომლებიც ყველაფერს ქულებსა და მათ მოპოვებას ანაცვალებენ. თუ მაყურებელს სიამოვნებას არ მიუტან, იგი ძალიან მალე შეგაქცევს ზურგს— ასე ფიქრობს განთქმული სოკრატესი, ბრაზილიის ეროვნული ნაკრების კაპიტანი 1982 და 1986 წლების მსოფლიოს ჩემპიონატებზე.

# ი. პონომარიოვი შვეციაში დარჩა

**ფეხბურთის** გულშემატკივრები იცნობენ იგორ პონომარიოვს — ეს ფეხბურთელი წლების განმავლობაში წარმატებით იცავდა ბაქოს „ნეფთჩის“ ღირსებას. პონომარიოვი იყო ევროპის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის, ნათამაშევი აქვს ოლიმპიურ ნაკრებშიც.

კარიერის დასასრულს ამ ფეხბურთელს საშუალება მიეცა შვეციის ერთ-ერთ კლუბში ეთამაშა. ამას წინათ, ბაქოს „ნეფთჩის“ სოხუმში ყოფნის დროს, აზერბაიჯანის რადიოტელევიზიის სპორტული კომენტატორის ფიქრეთ ადიგეიზალოვისგან შევიტყვეთ, რომ პონომარიოვმა პოლიტიკური თავშესაფარი ითხოვა და უარი თქვა საბჭოთა კავშირში დაბრუნებაზე. შვეციის ხელისუფლებამ ფეხბურთელის თხოვნა დააკმაყოფილა. ამჟამად პონომარიოვი მუშაობს ჭაბუკთა პროფესიულ კლუბ „ნორჩეპინგში“.

**თენგიზ პაპაქორია,**
**„ლელოს“ საკ. კორ.**

# წამოსცდება ხოლმე...

ოლიმპიურ ჩემპიონსა და მსოფლიო რეკორდსმენს ჭოკით ხტომაში სერგეი ბუბკას ხშირად სდებენ ბრალს პრაგმატიზმში. ბუბკა მართლაც გასაოცარი სიზუსტით გეგმავს სასარგებლო სიტუაციებს და ამის საფუძველზე ყოველ ნახტომში საკუთარ მსოფლიო რეკორდს მხოლოდ თითო სანტიმეტრს უმატებს. ასე ნელ-ნელა გახდა იგი ოცდაექვსგზის მსოფლიო რეკორდსმენი. მაგრამ, როგორც ამბობენ, კაცია და გუნებაო. ყოველ შემთხვევაში, ბუბკა საერთაშორისო ფედერაციის წესების არც ერთ პუნქტს არ არღვევს და მსოფლიო რეკორდებისთვის შესაბამის გასამრჯელოს იღებს.

ბოლო, 26-ე რეკორდი ოლიმპიურმა ჩემპიონმა ამ კვირადღეს მოსკოვში დაამყარა „გრან პრის“ პროგრამით გათვალისწინებულ საერთაშორისო შეჯიბრებაში. ბუბკამ მეორე ცდაზე დასძლია 608 სანტიმეტრი და თავის ძველ რეკორდს ტრადიციული 1 სანტიმეტრი წაამატა.

მაგრამ მსოფლიო რეკორდსმენი ჟურნალისტთა ყურადღებას ხშირად არა მხოლოდ სპორტული შედეგების გამო იპყრობს. ზოგჯერ პრესის წარმომადგენლებთან საუბარში ბუბკას წამოსცდება ხოლმე სიტყვა, რომელსაც მერე ან ოფიციალური ორგანოები ასწორებენ ან მისი ნათესავები.

ამ დღეებში გამოქვეყნდა რეიტერის სააგენტოს ცნობა იმის შესახებ, რომ ბუბკა ტოვებს საბჭოთა კავშირს და საცხოვრებლად გადადის საფრანგეთში. ეს ცნობა მისმა მეუღლემ ლილია ბუბკამ ასე განმარტა:

— ჩემს მეუღლესთან მართლაც ჰქონდა მოლაპარაკება ქალაქ სედანის ერთ-ერთ კლუბს. მაგრამ აქ საქმე ორწლიან კონტრაქტს ეხებოდა. ასეთ ხელშეკრულებას დღეს ყველა, მეტ-ნაკლებად ცნობილი საბჭოთა სპორტსმენი აფორმებს და ამაში არაფერია გასაკვირი. ასე რომ, საუბარი საბჭოთა კავშირში შექმნილ არასტაბილურ სიტუაციასა და ჩერნობილის შედეგებზე, კორესპონდენტის ფანტაზიის ნაყოფია.

ლილია ბუბკამ ისიც აღნიშნა, რომ ცოტა ხნის წინ სერგეის ანალოგიური მოლაპარაკება ჰქონდა გერმანიაშიც, მაგრამ ხელშეკრულების პირობები არ მოეწონა და შეთანხმებაც ამის გამო არ შედგა.

როგორც ჩანს, რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტს რაღაც მაინც „დაუყნოსავს“...

**სურათზე:** სერგეი და ლილია ბუბკები ოჯახურ წრეში.

* * *

### „სპორტლოტო“

**გაიმართა** „სპორტლოტოს“ 1991 წლის 23-ე და სპეცტირაჟის „გულმოწყალება“ ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45“:** 26 (თანამედროვე ხუთჭიდი), 31 (ფარიკაობა), 33 (ფეხბურთი), 37 (აკრობატიკა), 38 (ალპინიზმი). 39 (ბადმინტონი).

**„სპორტლოტო 5 36“:** 4 (კრივი), 11 (ფრენბურთი), 13 (სამთოსათხილამურო სპორტი), 24 (ხელბურთი), 31 (ფარიკაობა).

**„გულმოწყალება“:** 4 (კრივი), 6 (ძიუდო), 11 (ფრენბურთი), 27 (მშვილდოსნობა), 30 (ძალოსნობა).

# შემდეგი „გაჩერებაა“ უიმბლდონი

**პარიზი.** საფრანგეთის ჩემპიონი ჩოგბურთში ვაჟთა შორის გახდა ახალგაზრდა ამერიკელი ჯიმ კურიე. ეს ცნობა ერთი შეხედვით სენსაციას ჰგავს და მართლაც — ტურნირში, სადაც მსოფლიოს პირველი და მეორე ჩოგნები გამოდიოდნენ (სტეფან ედბერგი და ბორის ბეკერი), კურიეს თითქოს არა ესაქმებოდა, მაგრამ მიაქციეთ ყურადღება ერთ გარემოებას: მან ფინალისკენ მიმავალი გზა გადაუღობა თვით სტეფან ედბერგს. ეს კი უთუოდ რაღაცას ნიშნავს. ყოველ შემთხვევაში, ედბერგი ცნობილია როგორც სტაბილური ჩოგბურთელი, რომელსაც, ფაქტობრივად, არა აქვს ჩავარდნები.

აი, ბეკერის მარცხი კი მთლად მოულოდნელი არ იყო, ვინაიდან მიწის კორტებზე თამაში არ გახლავთ მისი ამპლუა. თანაც, ბეკერს აჯობა სწორედ მიწის კორტების ერთ-ერთმა ცნობილმა „სპეციალისტმა“ ანდრე აგასიმ (აშშ), რომელსაც, სავსებით სამართლიანად, მთავარ ფავორიტად ასახელებდნენ.

ერთი სიტყვით, აგასი — ბეკერის ნახევარფინალური ორთაბრძოლა, რომელიც 3 საათს გრძელდებოდა, დამთავრდა ამერიკელის გამარჯვებით 7:5, 6:3, 3:6, 6:1. კურიეს კი ნახევარფინალში ბეკერის ახალგაზრდა თანამემამულესთან მიჰაელ შტიჰთან მოუხდა ბრძოლა. კურიემ წარმატებას მიაღწია ოთხ პარტიაში — 6:2, 6:7, 6:2, 6:4.

ფინალური ბრძოლა თანამემამულეებს შორის ცვალებადი უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ გადამწყვეტ, მეხუთე პარტიაში კურიემ შეძლო მთელი ძალების მობილიზება და „დიდი მუზარადის“ რიგით მეორე შეჯიბრებაში დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა 3:6, 6:4, 2:6, 6:1, 6:4.

ქალთა შორის კი... მას შემდეგ, რაც ასპარეზობას გამოეთიშნენ შტეფი გრაფი და გაბრიელა საბატინი, ეჭვს არ იწვევდა მსოფლიოს № 1 ჩოგნის იუგოსლაველი მონიკა სელეშის წარმატება. მაგრამ. ყველასთვის მოულოდნელად, მას შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია ესპანელმა არანტა სანჩეს ვიკარიომ. სხვათა შორის, ამ ორთაბრძოლის ანგარიში (6:3, 6:4 სელეშის სასარგებლოდ) ოდნავადაც არ ასახავს ბრძოლის საერთო სურათს, რომელიც უაღრესად დაძაბული, ზოგ შემთხვევაში კი დრამატულიც იყო, განსაკუთრებით მეორე პარტიაში, სადაც ყოველი ქულის მოგებას საკმაოდ დიდი დრო მიჰქონდა.

ქალთა წყვილების „დუელი“ ჯიჯი ფერნანდესისა და ჩეხოსლოვაკიელი იანა ნოვოტნას ინტერნაციონალურმა დუეტმა მოიგო, რომელმაც ფინალში აჯობა ლარისა სავჩენკო-ნატალია ზვერევას წყვილს — 6:4, 6:0.

სულ მალე ჩოგბურთის მოყვარულთა მთელი ყურადღება გადაინაცვლებს ინგლისში, სადაც დაიწყება „დიდი მუზარადის“ მესამე და პროფესიული ჩოგბურთის ყველაზე ავტორიტეტული შეჯიბრება — უიმბლდონის ტურნირი.

# „ლანჩა“—„ტოიოტა“ — ტრადიციული ორთაბრძოლა

**კუნძულ** კორსიკაზე გამართულ შეჯიბრებას ყოველთვის გაურბიან ის პილოტები, რომლებიც ჩემპიონატში ლიდერობენ, რადგან ტრასა თავისი ვიწრო მონაკვეთებით და მკვეთრი მოსახვევებით ძალზე სახიფათოა. თანაც, ზოგჯერ, ამინდიც „ხელს უწყობს“ კატასტროფებს. ამჯერადაც, „რალი კორსიკის“ 35-ე გათამაშებაში, ყველა — გუნდების ხელმძღვანელობა, მექანიკოსები და პილოტები ოცნებობდნენ იმაზე, რომ შავი ღრუბლები გაფანტულიყო და ხელი არ შეეშალა რბოლისთვის.

ამაში ყველაზე უფრო დაინტერესებულნი იყვნენ „ლანჩა“ და „ტოიოტა“, წლევანდელი სეზონის ლიდერები. იტალიური გუნდის წარმომადგენელი კლაუდიო ლომბარდი უკმაყოფილო იყო საწვრთნელი რბოლებით, რადგან დაგეგმილი 10 კილომეტრი მათ წვიმაში, მზიან ამინდსა და... თოვლში გაიარეს.

კორსიკაზე იტალიელი მიკი ბიაზიონისა და ფინელი იუჰა კანკუნენის მაგივრად „ლანჩამ“ სამი ფრანგული ეკიპაჟი გამოიყვანა: ივ ლუბე („ლანჩა მარტინი“), დიდიე ორიოლი („ლანჩა ჯოლი ფინა“) და ბრუნო საბი („ლანჩა ფრანსი“) ბიაზიონი და „რალი საფარის“ გამარჯვებული კანკუნენი კი მომდევნო ეტაპისთვის ემზადებიან, რომელიც საბერძნეთში გაიმართება.

რალის პირველ დღეს გასავლელი იყო 158,1 კმ სიგრძის მანძილი 4 სპეციალური მონაკვეთით. რბოლა იწყებოდა ქალაქ აიაჩოში და აქვე მთავრდებოდა. „ტოიოტა ჩელიკას“ გერმანელმა პილოტმა, არმინ შვარცმა გაუსწრო „ლანჩა-ჯოლი ფინას“ ავტომრბოლს დიდიე ორიოლს და 38 წამით ჩამოიტოვა მეტოქე.

სპეციალური მესამე მონაკვთის გავლის დროს ივ ლუბემ ვერ დაიმორჩილა ავტომობილი, ბარიერს შეეჯახა და პილოტი სკამიანად ამოვარდა „ლანჩას“ კაბინიდან. საბედნიეროდ, ავარიას მსხვერპლი არ მოჰყოლია, მაგრამ პილოტი ძლიერ შოკში აღმოჩნდა, რის გამოც 10 წუთი დასჭირდა შეჯიბრებაში დასაბრუნებლად.

„ლანჩას“ გუნდში ცვლილება მოხდა. „ფრანსის“ პილოტი გახდა ივ ლუბე, ხოლო „ლანჩა მარტინის“ ბრუნო საბის ჩააბარეს.

რალის მეორე დღეს გასავლელი იყო 516 კილომეტრი სიგრძის მანძილი სპეციალური 9 მონაკვეთით. ტრასა გადიოდა აიაჩოსა და ბასტიას შორის.

შეჯიბრება მრავალი შეცდომით აღინიშნა, რის გამოც, ლიდერებმა პირველობა დაკარგეს და „ლანჩა“ დაწინაურდა. პირველ ადგილზე დიდიე ორიოლი გავიდა, მეორეზე კი — ფრანსუა დელკური („ფორდ სიერა“). მესამე კვლავ კარლოს საინსი („ტოიოტა“) იყო, რომელიც ლიდერს 19 წამით ჩამორჩებოდა.

არმინ შვარცის „ტოიოტა“ კატასტროფაში მოყვა, რამდენჯერმე გადაბრუნდა და ხევში გადავარდნას ხემ გადაარჩინა. ამის შემდეგ, გერმანელმა პილოტმა არა მარტო ლიდერობა, არამედ რბოლაში მონაწილეობის უფლებაც დაკარგა.

ცოტა მოგვიანებით, ბრუნო საბიც გამოეთიშა ასპარეზობას იმის გამო, რომ საკონტროლო პუნქტში 49 წუთით დააგვიანა.

პირველი ადგილისთვის ბრძოლა კარლოს საინსსა და დიდიე ორიოლს შორის გაჩაღდა. ესპანელმა პილოტმა, რომელიც საკონტროლო პუნქტში ერთი წუთით აგვიანებდა, სიჩქარეს უმატა, მოიგო სპეციალური 4 მონაკვეთი და მიუახლოვდა ორიოლს. მას ფრანგი მეტოქეც არ ჩამორჩა. და, თავის მხრივ, ორიოლმა უმატა ტემპს, რათა უფრო გაესწრო საინსისთვის.

RENAULT
GOODYEAR
FLY

„რალი კორსიკის“ მესამე დღის პროგრამაში შედიოდა 373,45 კმ სიგრძის მანძილის გავლა სპეციალური 7 მონაკვეთით მარშრუტით ბასტია-კალვი.

ორი ბრწყინვალე ოსტატის — საინსისა და ორიოლის — ორთაბრძოლის გამო „რალი კორსიკის“ 35-ე გათამაშება ისტორიაში შევა, როგორც სანახაობრივად ერთ-ერთი ყველაზე დაძაბული და საინტერესო.

რბოლის მესამე დღის დასასრულს მსოფლიო ჩემპიონმა, კარლოს საინსმა გაუსწრო თავის მთავარ მეტოქეს ფრანგ დიდიე ორიოლს და დაწინაურდა. მესამე ადგილზე აღმოჩნდა იტალიელი კუნიკო („ფორდ სიერა“), რომელიც ლიდერს 5 წუთით და 14 წამით ჩამორჩებოდა.

ერთ-ერთი სპეციალური მონაკვეთის გავლისას ავტომობილის უწესივრობის გამო დელკური ჩამორჩა 16 წუთით და მე-9 ადგილიდან მეთერთმეტეზე გადაინაცვლა.

„რალი კორსიკის“ ფინალური მარშრუტი გადიოდა კალვი-აიაჩოს (336,29 კმ) შორის, სპეციალური 7 მონაკვეთით, ხოლო საფინიშო პოდიუმი აღმართული იყო აუსტერლიცის მოედანზე, ნაპოლეონის ქანდაკების წინ.

ფინიშამდე ერთი დღით ადრე დიდიე ორიოლმა ინტერვიუში განაცხადა, რომ, მართალია, კარლოს საინსი მისი მეგობარია, კარგად ასპარეზობს, მაგრამ „რალი კორსიკას“ მაინც თვითონ მოიგებს.

ფრანგი პილოტის სიტყვები არ გამართლდა, რადგან მისმა მეგობარმა „ტოიოტას“ საჭესთან საუცხოოდ ჩაატარა რალის საბოლოო დღე და მესამე გამარჯვება იზეიმა წლევანდელ სეზონში.

ფინიშის შემდეგ საინსმა განაცხადა, რომ არასდროს არ მოსწონდა კორსიკის ვიწრო ქუჩებში რბოლები, მაგრამ აღიარა, რომ მაინც მოხარულია გამარჯვებით, რადგან ახლა იგი საგრძნობლად უსწრებს მეტოქეებს პირად ჩათვლაში.

„რალი კორსიკის“ საბოლოო შედეგი:

1. კარლოს საინსი — ლუის მოია (ესპანეთი, „ტოიოტა ჩელიკა“) — 7 საათი, 5 წუთი, 29 წამი; 2. დ. ორიოლი — ბ. ოჩელი (საფრანგეთი, „ლანჩა ჯული ფინა“) — ჩამორჩა 1 წუთით, 5 წამით; 3. ჯ. კუნიკო — ს. ევანჯელისტი (იტალია, „ფორდ სიერა“) — 6 წუთით, 10 წამით; 4. მ. დიუზი — ქ. ვიში (ბელგია, გერმანია, „ტოიოტა-ჩელიკა“) — 7 წუთით, 43 წამით; 5. მ. უილსონი — ნ. გრისტი (ინგლისი, „ფორდ სიერა“) — 11 წუთით, 50 წამით; 6. ი. ლუბე — ჟ.-პ. კიარონი (საფრანგეთი, „ლანჩა-მარტინი“) — ჩამორჩა 18 წუთით, 43 წამით.

პირადი ჩათვლა: 1. კარლოს საინსი — 60 ქულა; 2. იუჰა კანკუნენი — 38; 3. დიდიე ორიოლი — 32; 4. მასიმო ბიაზიონი — 27; 5-6. მარკუ ალენი, კენეტ ერიკსონი — 20; 7-8. მატს იონსონი, მიხაელ ერიკსონი — 15; 9-12. ფრანსუა დელკური, ხორხე რეკალდე, მალკოლმ უილსონი, ჯანი კუნიკო — 12 ქულა.

კონსტრუქტორთა პირველობა: 1. „ტოიოტა“ — 77; 2. „ლანჩა“ — 71; 3. „ფორდი“ — 28; 4. „სუბარუ“ — 10.

**დავით ჩუბინიძე**

## ოლიმპიური ჩემპიონი ბოლო ადგილზე

**ათენი.** საბერძნეთის დედაქალაქში დამთავრდა კალათბურთის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდა ევროპის ყველა უძლიერესი ნაკრები გუნდი.

ასპარეზობაში ბოლო, მეექვსე ადგილი საბჭოთა კალათბურთელებმა დაიკავეს, რომლებიც დამარცხდნენ საფრანგეთის, საბერძნეთისა და ესპანეთის წარმომადგენლებთან. ესპანელებთან უკანასკნელ მატჩს სსრკ-ის გუნდი პირველი ტაიმის შემდეგ იგებდა 18 ქულით (55:37), მაგრამ ამ შეხვედრის წაგებაც „მოახერხა“ — 85:86.

პირველი ადგილისა და მთავარი პრიზისათვის ბრძოლაში იტალიელებმა საკმაოდ ადვილად სძლიეს ტურნირის მასპინძლებს, რომლებსაც ვერ უშველა კალათბურთის მოყვარულთა მხურვალე მხარდაჭერამ. მატჩის შედეგია 102:78 (55:41). მესამე ადგილი ხვდა იუგოსლავიის ნაკრებს, რომელმაც დაამარცხა საფრანგეთის გუნდი — 82:81 (44:34). მეხუთე ადგილი ესპანელებს ერგოთ, მეექვსე კი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, სეულის ოლიმპიადის ჩემპიონს — სსრკ ნაკრებს.

# ოთარ გოშაძე

ხანმოკლე, მძიმე ავადმყოფობამ 54 წლის ასაკში გამოგვაცალა ხელიდან შესანიშნავი პიროვნება და დარგის სპეციალისტი ოთარ გოშაძე.

ჭაბუკი იყო მძლეოსნობაში რომ დაიწყო მეცადინეობა ქვიშხეთის საშუალო სკოლაში. 17 წლისა რესპუბლიკის ნაკრები გუნდის წევრი გახდა. 1956 წელს, ხალხთა პირველი სპარტაკიადის პრიზიორი გახდა ბადროს ტყორცნაში საქართველოს ახალი რეკორდის შედეგით. იყო საქართველოს ექვსგზის ჩემპიონი, „ლოკომოტივის“ საკავშირო საბჭოს ორგზის ჩემპიონი და პრიზიორი.

ფიზკულტურის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა რკინიგზელ სპორტსმენთა მწვრთნელად მძლეოსნობაში, ამ დარგის სამმართველოში მეთოდისტად, სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის“ თავმჯდომარის მოადგილედ, 1987 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე კი თბილისის განყოფილების სპორტკლუბ „ლოკომოტივის“ თავმჯდომარე იყო.

ო. გოშაძეს დიდ პატივს სცემდა რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებრიობა, იგი მუდამ უხმაუროდ მუშაობდა, სიკეთეს თესავდა ყველგან, პატივს სცემდა სხვის აზრს, იყო უაღრესად მეგობრული და სხვათა სევდის გამზიარებელი.

ო. გოშაძის ნათელი ხსოვნა არასოდეს წაიშლება ჩვენს გულებში.

**ამიერკავკასიის რკინიგზის დამოუკიდებელი პროფკავშირი;**
**სპორტკლუბი „ლოკომოტივი“;**
**მძლეოსნობის რესპუბლიკური ფედერაცია.**

# ოლიმპიადის საგზური

**ველინგტონი.** ბარსელონის 1992 წლის ოლიმპიადის კალათბურთელთა ტურნირის საგზური მოიპოვა ავსტრალიის ნაკრებმა, რომელმაც განმეორებით მატჩში სძლია ახალი ზელანდიის გუნდს — 74:57. უნდა აღინიშნოს, რომ პირველი ორთაბრძოლაც ავსტრალიის კალათბურთელებმა მოიგეს — 96:79.

ოკეანის ზონის საკვალიფიკაციო ტურნირში, თავდაპირველი ვარაუდით, მონაწილეობა უნდა მიეღო ოთხ გუნდს, მაგრამ მიზეზთა და მიზეზთა გამო, საგზურის მაძიებელთა რიცხვი შემცირდა და ბოლოს დარჩა ორი ნაკრები, რომელთაგან უძლიერესი ავსტრალიისა აღმოჩნდა (სამრაუნდიან სერიაში მან ორი შეხვედრა მოიგო).

რედაქტორი
**თენგიზ გაჩეჩილაძე**

**ავლაბრის სტადიონი**
**(ბოჟორმის ქ. №18)**

**ფეხბურთი**

**საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი**

**I ლიგა**

**11 ივნისი**

**„მრეტები“ (თბილისი) — სტუ (თბილისი)**

**დასაწყისი 18 საათზე.**

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ბ. ქორქია, კორექტორები: ც. ჩიტიშვილი და მ. ძეძამიძე.

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა, თბილისი, მ. კოსტავას ქ., 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კო რპუსში, ხოშარაულის 29.

XI